

შპს სტატიო

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

		31.12.2020	31.12.2019
ამონაგები	(3)	6 596 324	5 716 083
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		-4 160 191	-3 783 624
საერთომოგება		2 436 133	1 932 459
სხვა შემოსავლები	(4)	155 331	104 185
კომერციული დანახარჯები		-571 538	-486 669
ადმინისტრაციული ხარჯები	(6)	-119 359	-121 703
სხვა ხარჯები	(7)	-108 941	-59 275
ფინანსური დანახარჯები		-85 834	-74 173
მოგება დაბეგვრამდე		1 705 792	1 294 824
მოგების გადასახადი		-255 869	-194 224
მიმდინარე წლის მოგება		1 449 923	1 100 600
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		1 871 802	1 250 815
დივიდენდი		-536 842	-479 613
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		2 784 883	1 871 802

შპს სტატიო
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

		31.12.2020	31.12.2019	01.01.2019
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფულადი სახსრები	(17)	739 137	409 289	337 120
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(8)	1 224 177	926 760	691 954
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	(9)	1 365 600	1 214 417	753 634
სულ მიმდინარე აქტივები		3 328 914	2 550 466	1 782 708
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	(10)	1 124 184	448 770	413 322
არამატერიალური აქტივები	(11)	10 297	4 074	5 097
სულ გრძელვადიანი აქტივები		1 134 481	452 844	418 419
სულ აქტივები		4 463 395	3 003 310	2 201 127
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(14)	60 325	53 474	32 061
გადასახდელი პროცენტები		10 123	8 899	1 615
საგდასახადო ვალდებულებები	(12)	493 593	312 468	165 072
სულ მიმდინარე ვალდებულებები		564 041	374 841	198 748
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ბანკის სესხი		856 451	498 647	493 544
სულ ვალდებულებები		1 420 492	873 488	692 292

საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	258 020	258 020	258 020
გაუნაწილებელი მოგება	2 784 883	1 871 802	1 250 815
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	4 463 395	3 003 310	2 201 127

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სტატიო“ (შემდგომში კომპანი) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი არის საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი სოფ. დიდოში იან- ჰომერის ქუჩა 5ა. მისი ძირითადი საქმიანობაა №1 საბითუმო ვაჭრობა სხვა საყოფაცხოვრებო საქონლით, სხვა და ჯგუფებში ჩაურთველი, №2. საბითუმო ვაჭრობა საკანცელარიო საკუთნოებით, წიგნებით, ჟურნალებით, გაზეთებით და მისთ., №3 საყოფაცხოვრებო და სანიტარულ-ჰიგიენური დანიშნულების ქაღალდის ნაწარმის წარმოება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღიჯვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს მსს-ს შესაბამისად მომზადებულ პირველ ფინანსურ ანგარიშგებას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო წელი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად გამოყენებულია ქართულ ლარი.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგება ან ზარალის ანგარიშგებზე.

ამონაგები

ამონაგების საქონლის რეალიზაციიდან აღიარება ხდება მაშინ როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ხარჯები.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ მომავალში წარმოიშობა ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას და ვალდებულების ზრდასთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგების და ზარალის ანგარიშგებაში თუ მისგან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარებულ კრიტერიუმებს.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ვალდებულება აღიარდება მიმდინარე საანგარიშგებო წელს ,როდესაც ხდება წლის გაუნაწილებელი მოგების დაანგარიშება, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით, 2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულება წარმოიქმნება დივიდენდის განაწილების დროს.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა, ეს მოვლენა არის ქმედება ან ფაქტი რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ მასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება როგორც დამოუკიდებელი აქტივი. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებასა და დაგროვილ ცვეთას შორის სხვაობის თანხით.

ცვეთა ერიცხება მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები 3-15

სატრანსპორტო საშუალებები 5-10

ავეჯი და სხვა ინვენტარი 10-15

კომპიუტერული ტექნიკა 5-8

სხვა 3-5

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმის რომ ცვეთის ნორმა, აქტივის მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მის გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომში გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ჩაირთვება სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივი

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზირება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში . თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმის რომ ცვეთის ნორმა, აქტივის მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს.

თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ეთელი (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში თუ შემდგომში მოხდა გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მგზავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების(სასაქონლო მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის)შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მგზავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით და ხარჯის სახით აისახება მოგება ან ზარალის ანგარიშებზე.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომელიც დაკავშირებულია ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

სასაქონლო - მატერიალური ფასეულობების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს რომელიც უშუალოდაა დაკავშირებულია პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან და მუდმივ და ცვლად ზედნაღებ დანახარჯებთან, რომელიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. სასაქონლო მატერიალური მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური

შპს სტატიო
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებული. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულებში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების დანეტება

კომპანია ფინანსურ აქტივებს და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდი

დივიდენდის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდი აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი (გაუნაწილებელი მოგება).

3. ამონაგები	2020	2019
საქონლის გაყიდვა	6600428	5724267
გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება	-4104	-8184
	6596324	5716083

4. სხვა შემოსავალი	2020	2019
საპროცენტო შემოსავალი	247	
ნედლეულის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	38751	
ძირითადი საშუალების გასხვისებიდან მიღებული შემოსავალი		26000
უსასყიდლოდ მოწოდებული პროდუქციის ღირებულება	6895	8557
მომწოდებლის მიერ გადახდილი პრემია	25280	
Covid 19 საშემოსავლო შეღავათი	10827	
შემოსავალი კონვერტაციის შედეგად	2423	
კურსთაშორის სხვაობით გამოწვეული შემოსავალი	70908	68349
ინვენტარიზაციის შედეგად მიღებული ზედმეტობა		1278

შპს სტატიო
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

პენსიის უკან დაბრუნება		1
	155331	104185
5. ფინანსური დანახარჯები	2020	2019
ბანკის სესხის პროცენტი	85834	74173
6. ხარჯები	2020	2019
6.1 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	4160191	3783624
6.2 კომერციული დანახარჯები	571538	486669
6.3 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	119359	121703
6.3(1) შრომის ანაზღაურება	35512	32625
6.3(2) პენსია	8689	8455
6.3(3) საიჯარო ქირა	8048	7627
6.3(4) კომუნიკაციის ხარჯი	3085	3301
6.3(5) რემონტის ხარჯი	212	
6.3(6) კომპიუტერის ხარჯი	1286	318
6.3(7) საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯი		2560
6.3(8) საკონსულტაციო ხარჯი	390	469
6.3(9) ცვეთა და მორტიზაცია	24151	21545
6.3(10) სხვა საგადასახადო ხარჯი	13122	9587
6.3(11) მივლინების ხარჯი		13254
6.3(12) დაცვის ხარჯი	1220	1220
6.3(13) ბანკის საკომისიოს ხარჯი	8430	9542
6.3 (14) ხარჯი, რომლის გაწევის მიზანი არ არის მოგების , შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება		331
6.3(15) სხვა საერთო ხარჯი	15214	10869
7.სხვა ხარჯები	2020	2019
რეალიზებული ნედლეულის თვითღირებულება	23850	
ზარალი კონვერტაციის შედეგად	19230	9665
გასავალი ვალუტის გადაფასებიდან	65076	40540
ძირთადი საშუალების რელიზაციიდან		9070
საქველმოქმედო ხარჯი	270	
ჯარიმა საურავი	349	
სხვა ხარჯი	107	
მოგების გადასახადის ხარჯი	59	
	108941	59275

შპს სტატიო
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სავაჭრო ვალდებულებებზე საკურსო სხვაობის შედეგად მიღებული ზარალი (ჩართულია სხვა ხარჯებში)

8.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2020	2019
სავაჭრო დებიტორები	1037038	765803
გადახდილი ავანსები სხვა მოთხოვნები	182366	160957
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯი	4773	
	<u>1224177</u>	<u>926760</u>

9. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	2020	2019
საქონელი	1 199659	1079986
ნედლეული და მასალები	105197	99548
მზა პროდუქცია	48644	28922
სათადარიგო ნაწილები	10987	2936
სხვა მარაგები	1113	3025
	<u>1365600</u>	<u>1214417</u>

10. ძირითადი საშუალებები						
ისტორიული ღირებულება	მიწა	მანქანა დანადგარე ბი და მოწყობილ ობები	სატრანსპორტო საშუალებები	კომპი უტერ ული ტექნი კა	ავეჯი	სხვა
1 იანვარი 2020 წელი		423837	140186	16834	4500	17448
შემოსვლა	708669		31000	3934		
გასვლა						53
31 დეკემბერი 2020 წელი	<u>708669</u>	<u>423837</u>	<u>171186</u>	<u>20768</u>	<u>4500</u>	<u>17395</u>

დაგროვილი ცვეთა

1 იანვარი 2020 წელი	102221	29161	11815	23	10815	
წლიური ცვეთა	49400	15730	1556	450	1053	
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა					53	
31 დეკემბერი 2020 წელი	151621	44891	13371	473	11815	
საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2020 წელი	708669	272216	126295	7397	4027	5580

11. არამატერიალური აქტივები

შპს სტატიო
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

პროგრამული უზრუნველყოფა

ისტორიული ღირებულება

1 იანვარი 2020 წელი

10845

შემოსვლა

7390

გასვლა

31 დეკემბერი 2020 წელი

18235

დაგროვილი ცვეთა

1 იანვარი 2020 წელი

6771

წლიური ამორტიზაცია (ჩართულია ადმინისტრაციულ ხარჯებში)

1167

31 დეკემბერი 2020 წელი

7938

საბალანსო ღირებულება

31 დეკემბერი 2020 წელი

10297

12. საგადასახადო ვალდებულებები

2020

2019

მოგების გადასახადი

499836

333872

სხვა საგადასახადო ვალდებულებები

-6243

-21403

493593

312469

13. ბანკის სესხი

2020

2019

ბანკის სესხი

856451

498647

14. სავაჭრო ვალდებულებები

2020

2019

სავაჭრო ვალდებულებები

51029

41283

სხვა ვალდებულებები

9296

12191

60325

53474

15. ჩვეულებრივი იჯარა

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს ფართი და მსუბუქი ავტომანქანა. მეიჯარეებთან გაფორმებულია ერთწლიანი საიჯარო ხელშეკრულება.

2020

2019

ჩვეულებრივი იჯარით გათვალისწინებული საიჯარო

88856

71059

გადასახდელები, რომლებიც აღიარებულია მიმდინარე წელს ხარჯად

16. საწესდებო კაპიტალი

2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრისათვის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 258 020 ლარს.

17. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2020	2019
	ლარი	ლარი
ფულადი სახსრები სალაროში	64523	104883
ფული საბანკო ანგარიშებზე	674614	304405
	<u>739137</u>	<u>409289</u>

18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა და გამოცემის
 ნებართვა გაიცა კომპანიის დირექტორების მიერ 2021 წლის 6 სექტემბერს